თბილისის თავისუფალი აკადემიის

ს ა მ ა რ თ ლ ი ს

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

თ ბ ი ლ ი ს ი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება
სამართალი Law
აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური
ბაკალავრიატი (უმაღლესი განათლების პირველი საფეხური) First level, Bachelor
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:
აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა Higher Education Academic Programme
მისანიჭებელი კვალიფიკაცია
სამართლის ბაკალავრი Bachelor of Law
სწავლის ხანგრძლივობა
სწავლების ხანგრძლივობა 8 სემესტრი (4 აკადემიური წელი)
პროგრამის მოცულობა კრედიტებით
240 (ECTS) კრედიტი
სწავლების ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე
პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი
სალომე პირველი სამართლის დოქტორი, პროფესორი **ეკატერინე ლაფაჩი**

სამართლის დოქტორი, პროფესორი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების, შიდა/გარე მობილობის განხორციელების და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია დაშვების გამჭვირვალე წინაპირობა, რომელიც შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და ორიენტირებულია პირის მიერ პროგრამის დაძლევის შესაძლებლობებზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განთავსებულია აკადემიის ოფიციალურ ვებ - გვერდზე და იგი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა

საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა გათვლილია 8 სემესტრზე (ოთხი აკადემიური წელი), ხოლო სემესტრი მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდ(ებ)ის ჩატარებისა და მათში სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს.

საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს.

კრედიტი გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და მისი მიღება შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის მეშვეობით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის N3 ბრძანებით.

ერთი აკადემიური წელი მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.

ერთი კრედიტი (ECTS) უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 საათის განმავლობაში და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს.

კრედიტების განაწილება სხვადასხვა სასწავლო კომპონენტებს შორის ეფუძნება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგების მისაღწევად.

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ვერ შეძლებს 4 აკადემიური წლის განმავლობაში პროგრამის დაძლევას და მინიმუმ 240 კრედიტის მოპოვებას, მას ეძლევა შესაძლებლობა დამატებითი სემესტრის/სემესტრების განმავლობაში ამოწუროს პროგრამა და მოიპოვოს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

საბაკალავრო პროგრამის საბოლოო შედეგები მიიღწევა საბაკალავრო პროგრამით გაწერილი სასწავლო

კომპონენტების შესწავლის შედეგად. ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის სავალდებულოა საბაკალავრო ნაშრომის მომზადება, დაცვა და პრაქტიკის ანგარიშის დაცვა.

პროგრამის სტრუქტურა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამა ორიენტირებულია ბოლონიის პროცესით დეკლარირებულ მოთხოვნებზე და აკუმულირდება სწავლების ხარისხის შეფასებების კონკურენტუნარიანობის პრიორიტეტულობაზე. საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია შესაბამის დეტალურ სფეროში არსებული სწავლის სფეროს შინაარსის, სფეროს განვითარების ტენდენციების, ამ სფეროში მისანიჭებელი კვალიფიკაციის თავისებურებებისა და საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს:
სამართლის საბაკალავრო პროგრამა აგებულია ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/საგნების და თავისუფალი კომპონენტების პრინციპით. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები წარმოდგენილია სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების სახით. სავალდებულო კომპონენტები შედგება თავისუფალი სასწავლო კურსებისა და ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კომპონენტებისაგან. არჩევითი კომპონენტი მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებს და თავისუფალ კურსებს.

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისად, ბაკალავრისადმი განსაზღვრული კვალიფიკაციის დონისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სამართლის საბაკალავრო პროგრამით მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, მის სტრუქტურას და ასახულია სასწავლო გეგმაში.

საგანმანათლებლო პროგრამის 240 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:
თავისუფალი კომპონენტები: 27 კრედიტი;
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები : 161 კრედიტი;
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები: 40 - 52 კრედიტი;
თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები: 0 - 12 კრედიტი.

სტუდენტს უფლება აქვს ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებიდან აირჩიოს მინიმუმ 40 კრედიტი და მაქსიმუმ 52 კრედიტი ან აირჩიოს ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებიდან მინიმუმ 40 და თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსებიდან 12 კრედიტი.

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების კომპონენტები ორიენტირებულია სტუდენტს მისცეს ფუნდამენტური თეორიული ცოდნა და იურისტის პრაქტიკული უნარ - ჩვევები, ასევე

გამოუმუშაოს სტუდენტს ადაპტაციის უნარი და იურისტის პროფესიაში საქმიანობისთვის საჭირო ფასეულობები. გამოუმუშაოს უმაღლესი საგნობრივი ცოდნა სამართლის ყველა დარგზე.

პრაქტიკის კომპონენტი ორიენტირებულია სწავლის პროცესში მოპოვებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის რეალიზებაზე. აღნიშნული კომპონენტი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს აკადემიურ გარემოში მიღებული ცოდნისა და უნარ - ჩვევების პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილება. პრაქტიკა სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს, გამოიმუშავოს იურისტის პროფესიით საქმიანობისთვის საჭირო უნარ-ჩვევები, სხვადასხვა პროფესიულ გარემოში ადაპტაციის უნარი და გაიაზროს ეთიკური პრინციპების მნიშვნელობა.

საბაკალავრო ნაშრომი ორიენტირებულია თეორიული ხასიათის ნაშრომის შესრულებისათვის საჭირო უნარების განვითარებაზე. სტუდენტი დამოუკიდებლობის ხარისხის შესაბამისად განახორციელებს საბაკალავრო ნაშრომის შესრულება/კვლევას. საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისას უნდა გამოვლინდეს საბა-კალავრო პროგრამის სავალდებულო კომპონენტების შესწავლის შედეგად მიღწეული ცოდნის დონის და პრაქტიკული უნარების ხარისხის შესაბამისობა საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. საბაკალავრო ნაშრომის მიზანია სამართლის დარგში ბაკალავრიატის სტუდენტის მიერ კვლევითი მუშაობის განხორციელების, მისი წერილობითი და ზეპირი ფორმით წარმოდგენის უნარების განვითარება კვლევის ეთიკის პრინციპების დაცვით.
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების არჩევა ხდება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობები და მათი ლოგიკური თანმიმდევრობა.

თავისუფალი კომპონენტები მოიცავს ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებულ და დაწესებულებაში უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უკვე არსებულ სასწავლო კურსს/საგანს, რომლის/რომელთა თავისუფლად არჩევაც შეუძლია სტუდენტს, მისთვის საინტერესო საკითხებზე თვალსაწიერის გაფართოების მიზნით. ამასთან, პროგრამა ორიენტირებულია ისეთი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, როგორიც არის ეფექტური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე, კრიტიკული აზროვნების უნარის, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებისა და აკადემიური მუშაობის უნარების განვითარებაზე.

დანართი N1

პროგრამის შესაბამისობა მისიასთან

თბილისის თავისუფალი აკადემია ქმნის თანამედროვე სასწავლო გარემოს ინოვაციური მეთოდების დანერგვით. აკადემია მუდმივ ცვალებად ციფრულ ეპოქაში უზრუნველყოფს მოამზადოს შრომის ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური და სოციალურად მაღალი ცნობიერების მქონე თაობები. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ფოკუსირებულია ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარს მიაწოდოს სამართლის სფეროში მოღვაწე კონკურენტუნარიანი

სპეციალისტები.

მისიიდან გამომდინარე სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს სტრატეგიულად მოაზროვნე კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც იქნებიან კონკურენტუნარიანნი დასაქმების ბაზარზე და ექნებათ ეფექტური კომუნიკაციისა და დამოუკიდებლად განვითარების უნარი.

პროგრამის აქტუალობა

სამართალი XXI საუკუნის ერთ - ერთი ყველაზე მზარდი და მოთხოვნადი პროფესიაა, რაც ზრდის ხარისხიანი უმაღლესი განათლების მოთხოვნას, როგორც დამსაქმებლების, ისე სტუდენტების მხრიდან. ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს შეუძლია დასაქმდეს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში. შესაბამისად, თანამედროვე შრომით ბაზარზე თითქმის არ არსებობს სფერო, სადაც სამართლის ბაკალავრის კურსდამთავრებული ვერ დასაქმდება. პროგრამის აქტუალობა გამომდინარეობს დარგის პოპულარობიდანაც, რასაც განაპირობებს იურიდიულ სფეროში მომსახურეობის მზარდი მოთხოვნილება. საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია დამსაქმებელთა საჭიროებებზე, რადგან შრომითი ბაზარი გახდა უკიდურესად კონკურენტული. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს დასაქმდეს:

- საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში;
- სასამართლო ორგანოებში;
- სამართალდამცავ და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებში;
- საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებსა ან სხვა ორგანიზაციებში.

აღნიშნული საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული ასევე შეძლებს მიღებული ცოდნის გამოყენებას და დასაქმებას მომიჯნავე სპეციალობის დარგში. კურსდამთავრებული შეძლებს სწავლის გაგრძელებას მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, როგორც სამართლის მიმართულებით, ასევე ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

პროგრამის მიზანი

1. აქვთ სამართლის ზოგადი არსის, სამართლის სისტემის, სამართლის ფუნდამენტური პრინციპების, ნორმების, სამართლებრივი სისტემების, ქართული სამართლის ისტორიული წყაროების თეორიული ცოდნა, ასევე კერძო, სისხლის, საჯარო და საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების, ნორმების, თეორიებისა და არსებითი რეგულაციების თავისებურებების ცოდნა;
2. შეძენილი თეორიული ცოდნისა და გამომუშავებული პრაქტიკული უნარ ჩევევების საფუძველზე შეუძლიათ სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირება, მრავალმხრივი ანალიზი, მათი გადაჭრის გზების და სტრატეგიის დასახვა, სპეციფიკური იურიდიული ტერმინების

გამოყენებით საკუთარი სამართლებრივი პოზიციის ფორმირება;

3. შეუძლია სამართლებრივი დავის წარმოება, ასევე დავის წარმოებისთვის საჭირო ტაქტიკის განსაზღვრა და დავაში პოზიციის დასაბუთება, საჭირო იურიდიული დოკუმენტების შედგენა, შესაბამისი მითითებებით კვლევითი ან/და პრაქტიკული ხასიათის პროექტის შედგენა;
4. შეუძლიათ თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ ჩვევების რეალიზაციით მუდმივად ცვალებად პროფესიულ გარემოში ადაპტაცია და სხვადასხვა ტიპის ახალი სამართლებრივი პრობლემების გადაჭრა.

პროგრამის სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

1. აღწერს სამართლის არსს, სამართლის სისტემას, ფუნდამენტურ პრინციპებს, სამართლებრივ სისტემებს, არსებულ თეორიებს, ასევე სამართლის ნორმათა არსს, სტრუქტურას, ფუნქციას, განმარტების მეთოდებს და განასხვავებს ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს. ადგენს კონკრეტული სამართლებრივი დავის თავისებურებებს და სამართლებრივი ინსტრუმენტებით მისი გადაჭრის ოპტომალურ გზებს;

2. იდენტიფიცირებს ადამიანის უფლებათა ძირითად პრინციპებს, უფლებების შეზღუდვის საფუძვლებს, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ და საერთაშორისო სამართლებრივ მექანიზმებს. განმარტავს სახელმწიფოს არსს, ფუნქციას, სახელმწიფო მოწყობის თავისებურებებს, კონსტიტუციური სამართლის ძირითად პრინციპებს და ცნებებს, საკონსტიტუციო სამართალწარმოების სპეციფიკას. აღწერს ადმინისტრაციული ორგანოს არსს, საქმიანობის თავისებურებებს, ადმინისტრაციული სამართალწარმოების ძირითად საკითხებს;

3. აღწერს საერთაშორისო სამართლის სისტემას, მის ძირითად პრინციპებს, წყაროებს, საერთაშორისო-სამართლებრივ ინსტიტუტებს, აცნობიერებს საერთაშორისო სამართლის როლს და აღწერს მის დამოკიდებულებას ეროვნულ სამართალთან, აღწერს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კონვენციების ეროვნულ დონეზე გამოყენების სპეციფიკას. ასევე საერთაშორისო სასამართლოებისა და ტრიბუნალებს, წესებს და პროცედურებს, საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტრუმენტებს;

4. აცნობიერებს კერძო სამართლის არსს, სისტემას, უზოგადეს პრინციპებს, სამოქალაქო სამართლის სფეროში არსებულ თეორიებსა და ძირითად ცნებებს. სამეწარმეო სამართლის ინსტიტუტებს, სამეწარმეო თავისუფლების მნიშველობასა და არსს, ასევე მისი დაცვის სამართლებრივ საშუალებებს. შრომის უფლებების დაცვის ძირითად სამართლებრივ ინსტრუმენტებს, სამოქალაქო სამართალწარმოების თავისებურებებს;

5. აღწერს სისხლის სამართლის ძირითად ინსტიტუტებს, ცნებებს და პრინციპებს, ასევე სისხლის სამართლის სფეროში არსებულ საკვანძო თეორიებს, დანაშაულის არსს, დანაშაულის სახეებს, ცალკეულ დანაშაულთა შინაარსობრივ თავისებურებებს, სასჯელთა სისტემას, სისხლის სამართალწარმოების სტადიებსა და თავისებურებებს.

უნარი

6. აანალიზებს სამართლის ნორმებსა და სხვა წყაროებს, ანალიზის შედეგად უსადაგებს მათ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებს და ახდენს მათ არგუმენტირებულ სამართლებრივ შეფასებას;

7. ამოიცნობს სამართლებრივ პრობლემას და მისი სამართლებრივი საშუალებებით გადაჭრის მეთოდებს. სამართლებრივ დავაში ასაბუთებს პოზიციას, შეიმუშავებს დავის წარმართვის ან/და გადაწყვეტის ტაქტიკას სამართლებრივი საშუალებებისა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით;

8. ადგენს იურიდიულ დოკუმენტებს - ხელშეკრულებას, შეთანხმებას, მემორანდუმს, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, სამართალშეფარდებით აქტს, საპროცესო დოკუმენტს, ინდივიდუალურ და ნორმატიული ადმინისტრაციული აქტის პროექტს, სარჩელს, საჩივარს. შეიმუშავებს კვლევით და პრაქტიკულ პროექტებს, შესაბამისი ზედახმედველობითა და მითითებებით;

9. მოიძიებს იურისტისთვის არსებით ინფორმაციას (ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროები, საკანონმდებლო ცვლილებები, სასამართლო პრაქტიკა, დოქტრინა) ქართულ და ინგლისურ ენაზე, შესაბამისი ელექტრონული საშუალებებისა და სხვადასხვა მონაცემთა ბაზების გამოყენებით.

ავტომინიურობა და პასუხისმგებლობა

10. აღიარებს იურისტის პროფესიაში არსებული ეთიკური ნორმების საკვანძო მნიშვნელობას, პატივს სცემს ადამიანის უფლებებს და საყოველთაოდ აღიარებულ დემოკრატიულ ფასეულობებებს, პროფესიულ საქმიანობას ახორციელებს იურისტის ეთიკური და სამართლებრივი ღირებულებების გათვალისწინებით;

11. წარმართავს განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით. ავლენს საკუთარი ცოდნის განახლების უნარს.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში გამოიყენება სწავლება - სწავლის შემდეგი მეთოდები და აქტივობები:

ლექცია - არის პროცესი რომელშიც მონაწილეობს ლექტორი და სტუდენტი და რომლის მიზანია სასწავლო კურსით გათვალისწინებული მასალის/ცოდნის სტუდენტისთვის გადაცემა. ლექცია შემოქმედებითი და ინტერაქტიული პროცესია და შესაძლოა წარიმართოს სტუდენტთან დისკუსიის რეჟიმშიც. ლექცია გულისხმობს სტუდენტის აქტიურ ჩართულობას მასახლის ახსნაში. სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული ლექციები მეტწილად წარიმართება შესაბამისი საპრეზენტაციო, მასალების გამოყენებით. ლექტორი იშველიებს კონკრეტულ ფაქტებს, სქემებს, გრაფიკებს და სხვადასხვა თვალსაჩინოებებს. მთავარი აქცენტი კი ეთმობა კონცეპტუალურ საკითხებს, ძირითად ცნებებსა და პრინციპებს. ახსნის ეფექტურობისთვის აქტიურად გამოყენება ახსნა განმარტების და დემონსტრირების მეთოდი, რაც უადვილებს სტუდენტებს რთული და კომპლექსური საკითხების აღქმასა და გაგებას. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ლექცია შესაძლოა მოიცავდეს ქვემოთ მოყვანილ აქტივობებს:

- **ვერბალური ახსნა - განმარტება** - არის ლექციაზე გამოყენებული აქტივობის ფორმა, რომლის

ფარგლებში ლექტორი ხსნის სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული თემატიკის კონცეპტუალურ, ძირითად და არსებით საკითხებს, განმარტავს თითოეულ საკითხს თვალსაჩინოებებისა და მაგალითების გამოყენებით. ახსნა განმარტება გულისხმობს სტუდენტებისათვის საკითხების ზეპირი ფორმით განმარტებას. ვებრალური ახსნა განმარტების ფარგლებში ლექტორი შესაძლოა ასევე მიმართავდეს დემონსტრირების მეთოდსაც.

- **დემონსტრირება** - აღნიშნული აქტივობის მიზანია სალექციო მასალის სტუდენტების მიერ უფრო უკეთ აღქმა და დამახსოვრება. დემონსტრირების ფარგლებში ლექტორი იყენებს სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოებას, კერძოდ სქემებს, ფოტო სურათებს, ვიდეოს/აუდიო მასალას და ა.შ. მათ შორის დემონსტრირების ფარგლებში შესაძლოა ლექტორი ახდენდეს საძიებო სისტემის გამოყენების დემონსტრირებას, სასამართლო გადაწყვეტილების დემონსტრირებას, კონკრეტული სამართლებრივი გამოსვლის დემონსტრირებას და ა.შ. დემონსტრირების ფარგლებში ლექტორი შესაძლოა სტუდენტებს აჩვენებდეს კონკრეტული დოკუმენტის შედგენას რათა სტუდენტებმა უკეთ შეძლონ ისეთი მასალის ათვისება რომელიც ცალკეული პრაქტიკული აქტივობის შესრულებას უკავშირდება,

სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა - აღნიშნული მეთოდი გულისხმობს სწავლების ყველა იმ აქტივობას, რომელიც სტუდენტს კონკრეტულ თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკულ უნარებს უვითარებს. სტუდენტების ინდივიდუალური ან/და ჯგუფური მუშაობა კი წარიმართება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული აქტივობებით: მაგ. დისკუსია, სიმულაცია. შემთხვევის შესწავლა. სავარჯიშო, საშინაო დავალება და ა.შ. მეთოდი მიზნად ისახავს სტუდენტმა განიმტკიცოს და გაიაზროს ლექციაზე შეძენილი ცოდნა.

სამუშაო ჯგუფში მუშაობის/პრაქტიკული მუშაობის/პრაქტიკული მეცადინეობის ფარგლებში გამოყენებული აქტივობებია:

- **ინდუქცია** - აქტივობა გულისხმობს ისეთ პროცესს როდესაც ხდება კერძოდან ზოგადისკენ გადასვლა, ფაქტების ანალიზი და მიღებული დასკვნების განზოგადება;
- **დედუქცია** - აქტივობის ფარგლებში ხდება ზოგადიდან კერძოზე გადასვლა, ზოგადი ცოდნის საფუძველზე ახალი ცოდნის აღმოჩენა;
- **ანალიზი** - მთლიანობაში სასწავლი მასალის ანალიზი, დაშლა, პრობლემატური საკითხების მკაფიოდ იდენტიფიცირება;
- **სინთეზი** - კონკრეტული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენა, საკითხების გაერთიანება, ეხმარება სტუდენტს პრობლემების იდეტიფიცირების უნარის გამომუშავებაში;
- **წიგნზე (წყაროზე) მუშაობა** - აღნიშნული აქტივობა მოიაზრებს სილაბუსით გათვალისწინებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის გაცნობას და მასალის შესწავლას, ასევე ლიტერატურის მოძიებასა და დამუშავებას, კონკრეტული ნორმატიული აქტების ან/და სასამართლო გადაწყვეტილებების მოძიებას, ასევე ყველა იმ საჭირო მასალის მოძიებასა და გაცნობას რაც

სტუდენტს შესაძლოა დასჭირდეს სასწავლო კურსით გათვალისწინებული აქტივობის (საშინაო დავალება, მოხსენება, პრეზენტაცია და ა.შ.) მოსამზადებლად;

- **წერითი მუშაობა** - აღნიშნული აქტივობა გულისხმობს სასწავლო კურსით გათვალისწინებული წერითი კომპონენტის (მაგ. საშინაო დავალება, წერითი გამოკითხვა, რეფერატი და ა.შ.) შესრულებას;
- **შემთხვევის შესწავლა/ანალიზი (Case study)** – აღნიშნული აქტივობის მიზანია სტუდენტს დაეხმაროს სამართლის ნორმის ანალიზში. ის გულისხმობს კონკრეტული თემატიკის ფარგლებში მაგალითების (კაზუსი, შემთხვევა) ანალიზს. აღნიშნული აქტივობის დახმარებით სტუდენტი სიღრმისეულად შეისწავლის სამართლის ნორმათა შინაარსს და მათი პრაქტიკაში გამოყენების ასპექტებს;
- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) –** აღნიშნული აქტივობის ფარგლებში, ცოდნის მიღება ემყარება კონკრეტულ პრობლემას. ლექტორი სტუდენტების წინაშე სვამს პრობლემას და სტუდენტები ეძებენ აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ოპტიმალურ გზას. აქტივობა ერთი მხრივ განამტკიცებს თეორიულ ცოდნას ხოლო მეორე მხრივ უყალიბებს სტუდენტებს პრაქტიკულ უნარებს;
- **სოკრატისეული მიდგომა** - აღნიშნული აქტივობა - მიდგომა გამოიხატება კითხვა-პასუხის რეჟიმით და ხშირად ეს აქტივობა შესაძლოა გამოყენებულ იქნას დისკუსია/დებატების მეთოდთან სინთეზში. აქტივობის ფარგლებში კურსის ლექტორი სტუდენტების წინაშე აყენებს პრობლემატურ საკითხს ან/და უსვამს მათ პრობლემატუ შეკითხვას, არ აწვდის სტუდენტებს რაიმე ინფორმაციას საკითხის შესახებ და სტუდენტებმა დასმულ საკითხს/შეკითხვას უნდა უპასუხაონ არგუმენტირებულად. შესაბამისად სტუდენტებმა უნდა შასრულონ საკითხის დამოუკიდებელი ანალიზი არა რაიმე თეორიულ ცოდნაზე დაყრდნობით, არამედ ანალიზის მეთოდის გამოყენებით;
- **გონებრივი იერიში (Brain stroming)** – აღნიშნული აქტივობის მიზანია შემჭიროდებულ დროში სტუდენტების მხრიდან განსხვავებული მოსაზრებების მოსმენა ცალკეულ პრობლემასთან დაკავშირებით. სხვადასხვა მოსაზრებების წარმოდგენა აღვივებს ინტერესებს სტუდენტებში და ეხმარება მათ ანალიზის უნარის ამაღლებაში;
- **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** - აქტივობის ფარგლებში სტუდენტის თეორიული ცოდნა ტრანსფორმირდება პრაქტიკულ უნარ ჩვევებში. აქტივობა გულისხმობს სტუდენტის მიერ კონკრეტული ქმედების (სარჩელის, საჩივრის, ხელშეკრულების შედგენა და ა.შ) განხორციელებას;
- **როლური და სიტუაციური თამაში** - აღნიშნული აქტივობა გულისხმობს ცალკეულ პროფესიულ სიმულაციას, კერძოდ სასამართლო პროცესის მონაწილის როლის შესრულებას, რაც ეხმარებათ სტუდნეტებს აიმაღლონ პრაქტიკული უნარ ჩვევები, გაითავისონ იურისტის პროფესიის ძირითადი თავისებურება, გაიაზრონ პროფესიული ეთიკის დაცვის მნიშვნელობა. აქტივობის ფარგლებში უშუალოდ როლის შესრულების გარდა სტუდნეტები უნდა გაეცნონ საქმის მასალებს, მოახდინონ შესაბამისი ნორმების მოძიება და პოზიციის ფორმირება რაც ეხმარება მათ სამომავლოდ პროფესიაში ადაპტაციაშიც. სტუდენტებს უვითარდებათ საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი, მოსმენის

კულტურა, სტუდენტები სწავლობენ კამათი ხელოვნებას, საკუთარი პოზიციის დასაბუთებას და ა.შ.;

- **ევრისტიკული მიდგომა** - აღნიშნული აქტივობის ფარგლებში სტუდენტის წინაშე ისმევა შედარებით რთული და კომპლექსური ამოცანა, რომელიც მოითხოვს ეტაპობრივ გადაწყვეტას. აქტივობა ეხმარება სტუდენტებს ფაქტების იდენტიფიცირებასა და ფაქტებს შორის საკვანძო კავშირის დანახვაში;

- **გუნდური (collaborative) მუშაობა** - აქტივობის ფარგლებში ხდება სტუდენტების ჯგუფებად დაყოფა და მათთვის სხვადასხვა ტიპის დავალების მიცემა. თავის მხრივ დავალება შესაძლოა იყოს როგორც პრაქტიკული (იმიტირებული სასმაართლო პროცესზე პოზიციის მომზადება, დოკუმენტის შემუშავება) ისე თეორიული (პრეზნეტაცია). თეორიული ცოდნის მიღების გარდა აღნიშნული აქტივობა ცალკეულ შემთხვევაში უმაღლებს სტუდნეტებს პრაქტიკულ უნარ ჩვევებს ან/და შეასწავლის მათ გუნდური მუშაობის პრინციპებს;

- **დისკუსია/დებატები** - აქტივობის ფარგლებში სტუდენტებს მიეცემათ პრობლემატური საკითხი რომლის ირგვლივ იმართება დისკუსია-დებატები. აქტივობის საშუალებით სტუდენტი სწავლოს საკუთარი პოზიციის არგუმენტირებულად ჩამოყალიბებას, გამოიმუშავებს მოსმენის კულტურას, აქტივობა ასევე უვითარებს სტუდენტს განსხვავებული აზრის მიმღებლობას. აქტივობის საშუალებით სტუდენტები სწავლობენ კითხვის ფორმირებას;

- **პროექტის/რეფერატის/მოხსენების/ნაშრომის/ანგარიშის მომზადება და პრეზენტაცია** - აქტივობა შესაძლოა გამოხატებოდეს პროექტის, რეფერატის, მოხსენების ანგარიშის შემუშავებაში, რომლის ფარგლებში სტუდენტი ახდენს საჭირო მასალების მოძიებასა და სისტემატიზაციას. აქტივობა უვითარებს სტუდენტებს წერითი უნარებს, ცალკეულ შემთხვევაში კვლევით უნარს, შემოქმედებით უნარებს და ა.შ.;

- **პრაქტიკული დავალებები** - აქტივობის ფარგლებში სტუდენტი ასრულებს პრაქტიკულ დავალებას, კერძოდ: შესავალი სიტყვის მომზადება, დასკვნითი სიტყვის მომზადება, სარჩელის, საჩივრის, შესაგებლის, შეგებებული სარჩელის, ხელშეკრულების მომზადებას ან.და სხვა იურიდიული ოპერაციის წარმოებას;

- **აუდიო - ვიზუალური მუშაობა/ელექტრონული რესურსით სწავლება** - აღნიშნული აქტივობის ფარგლებში სტუდენტს მასალა მიეწოდება აუდიო ან სხვადასვხა ვიზუალიზაციის გამოყენებით, ან სხვადასხვა ტიპის ელექტრონული თუ სხხვა საშუალებების გამოყენებით. როგორიცაა: სლაიდები, ვიდეო რგოლი, აუდიო რგოლი, ფოტოები;

- **დამოუკიდებელი მუშაობა/სწავლა** - მოიცავს სტუდენტისათვის შედარებით რთული და კომპლექსური ამოცანის მიცემას, რომლის გადაჭრისთვის სტუდენტმა დამოუკიდებლად უნდა შეისწავლოს საკითხი და დამოუკიდებლად დაგეგმოს პრობლემის გადასაჭრელად შესაბამისი გზები.

- **და სხვა**.

სტუდენტის მიღწევების შეფასება - ზოგადი წესები

უმაღლეს სასწავლებელში მოქმედებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის N3 ბრძანებით დამტკიცებული სტუდენტთა შეფასების 100 - ქულიანი სისტემა. შეფასებათა მაქსიმალური ჯამური ქულა უდრის 100 (ასს), შესაბამისად, მაქსიმალური დადებითი შეფასება 100 ქულაა, ხოლო მინიმალური დადებითი შეფასება არის 51 ქულა. შეფასების თითოეულ მეთოდს განსაზღვრული აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც სასწავლო კურსის სპეციფიკისა და სწავლის შედეგების მიღწევის ინტერესის გათვალისწინებით სხვადასხვა სასწავლო კურსში განსხვავებული შეიძლება იყოს.

სტუდენტის შეფასება:

ა. ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ. ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება მიმდინარე სემესტრში;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად: - პრაქტიკული აქტივობა (სამუშაო ჯგუფში მუშაობა/სემინარული/პრაქტიკული მეცადინეობა, პრეზენტაცია და სხვ.) და შუალედური გამოცდა. თითოეულს აქვს თავისი პროცენტული წილი შეფასების სისტემაში.

100 ბალიანი სისტემიდან შუასემესტრულ კომპონენტებზე გადანაწილებულია 60 ქულა, ხოლო 40 ქულა ეთმობა დასკვნით გამოცდას. შუასემესტრული კომპონენტებისთვის განსაზღვრული 60 ქულა ნაწილდება შუალედური შეფასებების მიხედვით.

სტუდენტის შეფასებისას წაყენებული აკადემიური მოთხოვნები:

სტუდენტი კრედიტის მისანიჭებლად ვალდებულია გადალახოს სასწავლო კურსის სილაბუსით შეფასების თითოეულ ფორმაში/კომპონენტში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

ა. საგანამანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში - სასწავლო კურსის შეფასების თითოეულ ფორმაში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსით დადგენილ ოდენობებს.

ბ. საგანამანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში - პრაქტიკის შეფასების თითოეულ ფორმაში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს დადგენილ ოდენობებს;

გ. საგანამანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში - საბაკალავრო ნაშრომის შეფასების თითოეულ ფორმაში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს დადგენილ შემდეგ ოდენობებს.

თუ სტუდენტი ვერ გადალახავს აკადემიაში დამტკიცებული სასწავლო კურსით განსაზღვრულ შეფასების თითოეულ ფორმაში/კომპონენტში დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, ის მოიხსნება სასწავლო კურსიდან და გაუფორმდება შეფასება "F", რაც ითვალისწინებს აღნიშნული სასწავლო კურსის განმეორებით შესწავლას. დასკვნითი გამოცდა ტარდება სემესტრის ბოლოს, სასწავლო პროცესის აკადემიური კალენდრით განსაზღვრულ ვადებში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც გადალახა შუალედური შეფასების თითოეულ ფორმაში/კომპონენტში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

FX შეფასების და/ან დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ასევე მიღებული შეფასების გაუმჯობესების მიზნით სტუდენტს ეძლევა გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება დამატებით გამოცდაზე იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებად. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგამნანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება შეფასება F-ქულა.

შენიშვნა:

- შეფასების ფორმები და კომპონენტები, მათი ხვედრითი წილი საერთო შეფასებაში და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ასევე შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები ასახულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში, რაც ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის;
- დასკვნითი გამოცდა ტარდება სემესტრის ბოლოს, სასწავლო პროცესის აკადემიური კალენდრით განსაზღვრულ ვადებში;
- დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად შეფასება;
- პრაქტიკის განხორციელებისა და საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისათვის სტუდენტს უნდა ჰქონდეს ათვისებული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები.

აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა
სამართლის საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება ,,ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია და ეძლევა შესაბამისი საბაკალავრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფო ნიმუშის დიპლომი, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დანართთან ერთად.
პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი
პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური კადრებით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტებს უძღვება ინსტიტუციის აკადემიური პერსონალი, სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული პერსონალი და პრაქტიკოსი სპეციალისტები.
საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალურ - ტექნიკური რესურსები
პროგრამით გათვალისწინებული მიზნების რეალიზაციისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ტექნიკით და თანამედროვე ტექნოლოგიებით, ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიებით, საპროფესოროებით, ბიბლიოთეკით (წიგნადი და ელექტრონული), კომპიუტერული ცენტრით, კომპიუტერული პროგრამებით, უწყვეტი ინტერნეტით. აკადემიაში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა. თბილისის თავისუფალ აკადემიას აქვს წვდომა მრავალფეროვან საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებზე.
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა
სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისა და პროფესორ - მასწავლებელთა მხარდაჭერის მიზნით საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება პროგრამის ბიუჯეტით. ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული რესურსების მუდმივ განახლებაზე, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის პროგრამის შესაბამისი უახლესი ლი-ტერატურით შევსებაზე, კვლევითი პროექტების ხელშეწყობაზე, სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მოწყობაზე, აკადემიის პროფესორ - მასწავლებელთა განვითარებაზე, მათ შორის, მათი ნაშრომების, სახელმძღვანელოების შემუშავება/გამოცემაზე და სხვა აქტივობების განხორციელებაზე.
საგანმანათლებლო პროცესის სასწავლო - მეთოდური უზრუნველყოფა
სასწავლო პროცესი მეთოდურად უზრუნველყოფილია აკადემიაში მოქმედი სამართლებრივი დოკუმენტაციის შესაბამისად, რომელიც ემყარება საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ”,

საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებებს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებებს და სხვა.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსის სწავლების პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო - მეთოდური მასალით, შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსებით, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურით, ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებითა და საინფორმაციო წყაროებით.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

	სასწავლო კომპონენტის დასახელება	სასწავლო კურსის კოდი	კრედიტები	სათები	ლექცია	პრაქტიკული მეცადინეობა	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	საკონტაქტო სათები	დამოუკიდებელი მუშაობა	კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
N	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11								12
სავალდებულო თავისუფალი კომპონენტი, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარებაზე - (27 კრედიტი)																			
											I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
1.1	ინგლისური ენა 1	ENGL 311	5	125	-	45	2	3	50	75	X								წინაპირობის გარეშე
1.2	ინგლისური ენა 2	ENGL 321	5	125	-	45	2	3	50	75		X							ინგლისური ენა 1
1.3	ინგლისური ენა 3	ENGL 331	5	125	-	45	2	3	50	75			X						ინგლისური ენა 2
1.4	ინგლისური ენა 4	ENGL 341	5	125	-	45	2	3	50	75				X					ინგლისური ენა 3
1.5.	აკადემიური წერა	ACWR 311	4	100	15	15	2	3	35	65	X								წინაპირობის გარეშე
1.6.	ინფორმაციული ტექნოლოგიები	INTC 311	3	75	15	15	2	3	35	40	X								წინაპირობის გარეშე
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები/კომპონენტები - (161 კრედიტი)																			
2.1.	შესავალი სამართლისმცოდ	INLW 311	5	125	15	30	2	3	50	75	X								წინაპირობის გარეშე

	ეობაში																		
2.2.	შესავალი სამოქალაქო სამართალში	INCL 311	5	125	30	30	2	3	65	60	X								წინაპირობის გარეშე
2.3.	კონსტიტუციური სამართალი	CONL 311	5	125	15	30	2	3	50	75	X								წინაპირობის გარეშე
2.4.	სანივთო სამართალი	COML 321	5	125	15	30	2	3	50	75		X							შესავალი სამოქალაქო სამართალში
2.5.	ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები	BHRF 321	5	125	15	30	2	3	50	75		X							კონსტიტუციური სამართალი
2.6.	საერთაშორისო საჯარო სამართალი	INPL 321	5	125	15	30	2	3	50	75		X							შესავალი სამართლისმცოდნეობაში, კონსტიტუციური სამართალი
2.7.	სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი)	GCLW 321	5	125	30	30	2	3	65	60		X							წინაპირობის გარეშე
2.8.	ქართული სამართლის ისტორია	HGLW 321	4	100	15	15	2	3	35	65		X							წინაპირობის გარეშე
2.9.	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I	1PCRL 331	5	125	30	30	2	3	65	60			X						სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი)
2.10.	ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი	GPOL 331	5	125	30	30	2	3	65	60			X						შესავალი სამოქალაქო სამართალში
2.11.	ადამიანის უფლებათა საერთაშორისო	ILHR 331	5	125	15	30	2	3	50	75			X						საერთაშორისო საჯარო სამართალი

	სამართალი																		
2.12	ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი	GALW 331	5	125	15	30	2	3	50	75			X						კონსტიტუციური სამართალი
2.13.	სახელშეკრულებო სამართალი	COLW 341	5	125	30	30	2	3	65	60				X					ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი
2.14	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II	2PCRL 341	5	125	30	30	2	3	65	60				X					სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I
2.15	კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები	LEGR 341	6	150	30	30	2	3	65	85				X					ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი
2.16.	საკონსტიტუციო კონტროლი და სამართალწარმოება	CONL 341	5	125	15	30	2	3	50	75				X					ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები
2.17.	სისხლის საპროცესო სამართალი (ზოგადი ნაწილი)	CPRL 351	5	125	30	30	2	3	65	60					X				სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II
2.18.	საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი	FINL 351	5	125	30	30	2	3	65	60					X				სახელშეკრულებო სამართალი
2.19.	შრომის სამართალი	LABL 351	5	125	15	30	2	3	50	75					X				სახელშეკრულებო სამართალი
2.20.	სამეწარმეო სამართალი	ENLW 351	5	125	30	30	2	3	65	60					X				სახელშეკრულებო სამართალი
2.21.	სამოქალაქო საპროცესო სამართალი I	1CPRL 351	5	125	30	30	2	3	65	60					X				სახელშეკრულებო სამართალი

2.22.	ინგლისური ენა იურისტებისთვის I	1ENLW 351	5	125	-	45	2	3	50	75					X				ინგლისური ენა 4
2.23.	სამოქალაქო საპროცესო სამართალი II	2CPRL 361	5	125	30	30	2	3	65	60						X			სამოქალაქო საპროცესო სამართალი I, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი
2.24.	სისხლის საპროცესო სამართალი (კერძო ნაწილი)	CPRL 361	5	125	30	30	2	3	65	60						X			სისხლის საპროცესო სამართალი (ზოგადი ნაწილი)
2.25.	ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა კერძო სამართალში	CONL 361	6	150	30	30	2	3	65	85						X			შრომის სამართალი
2.26.	ინგლისური ენა იურისტებისთვის II	2ENLW 361	5	125	-	45	2	3	50	75						X			ინგლისური ენა იურისტებისთვის I
2.27.	ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი	APLW 371	5	125	15	30	2	3	50	75							X		ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი II
2.28.	იურიდიულ პროფესიათა ეთიკა	ELPR 381	5	125	15	30	2	3	50	75								X	ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი, სამოქალაქო

																			საპროცესო სამართალი II, სისხლის საპროცესო სამართალი (კერძო ნაწილი)
2.29.	საბაკალავრო ნაშრომი	BACHT 381	10	250	-	-	-	5	25	220								X	ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები
2.30.	იურიდიული პრატიკა	LGPR 381	10	250	15	150	-	1	166	84								X	ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები
	ჯამი																		
3. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები/კომპონენტები (40 - 52 კრედიტი)																			
საჯარო სამართალი																			
3.1.	საგადასახადო სამართალი	TAXL 302	5	125	15	30	2	3	50	75									ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი
3.2.	საარჩევნო სამართალი	ELCL 302	4	100	15	15	2	3	35	65									კონსტიტუციური სამართალი
3.3.	პერსონალური მონაცემების დაცვის სამართალი	PDPL 302	5	125	15	30	2	3	50	75									ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები

3.4.	ევროკავშირის სამართლის საფუძვლები	FUNL 302	5	125	15	30	2	3	50	75									საერთაშორისო საჯარო სამართალი, ინგლისური ენა 4
3.5.	მედია სამართალი	MEDL 302	4	100	15	15	2	3	35	65									ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი; ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები
3.6.	საკანონმდებლო ტექნიკა	LEGT 302	5	125	15	30	2	3	50	75									კონსტიტუციური სამართალი
3.7.	საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია		5	125	15	30	2	3	50	75									წინაპირობის გარეშე
3.8.	კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა კონსტიტუციურ სამართალში	CRLW 302	5	125	15	30	2	3	50	75									ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები
3.9.	სამშენებლო სამართალი	COLW 302	5	125	15	30	2	3	50	75									ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი
3.10.	ადმინისტრაციული სამართლის პრაქტიკული კურსი	PCAL 302	5	125	15	30	2	3	50	75									ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი

3.11.	ადგილობრივი თვითმმართველობის სამართალი	LSGL 302	4	100	15	15	2	3	35	65									კონსტიტუციური სამართალი
3.12.	ბავშვთა უფლებების დაცვის სამართალი	CRPL 302	4	100	15	15	2	3	35	65									ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებებ, ინგლისური ენა 4
კერძო სამართალი																			
3.13.	საბანკო სამართალი	BANL 302	5	125	15	30	2	3	50	75									სამოქალაქო საპროცესო სამართალი I, სამეწარმეო სამართალი
3.14.	დაზღვევის სამართალი	INLW 302	4	100	15	15	2	3	35	65									სახელშეკრულებო სამართალი
3.15.	ინტელექტუალური საკუთრების სამართალი	INPL 302	5	125	15	30	2	3	50	75									სახელშეკრულებო სამართალი
3.16.	სანოტარო სამართალი	NOTL 302	4	100	15	15	2	3	35	65									სამოქალაქო საპროცესო სამართალი II
3.17.	რომის სამართალი	ROML 302	5	125	15	30	2	3	50	75									წინაპირობის გარეშე
3.18.	ინოვაციების სამართალი		4	100	15	15	2	3	35	65									ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი
3.19.	დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები	AMDR 302	4	100	15	15	2	3	35	65									სამოქალაქო საპროცესო სამართალი II

3.20.	კერძო სამართლის პრაქტიკული კურსი	PCPL 302	5	125	15	30	2	3	50	75									სამოქალაქო საპროცესო სამართალი II
3.21.	კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სამოქალაქო სამართალში	MCRL 302	5	125	15	30	2	3	50	75									კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი
სისხლის სამართალი																			
3.22.	სასჯელაღსრულების სამართალი		5	125	15	30	2	3	50	75									სისხლის სამართლის საპროცესო კერძო, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 2
3.23.	არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება	JUVJ 302	5	125	15	30	2	3	50	75									სისხლის სამართლის საპროცესო კერძო
3.24.	კრიმინალისტიკა		5	125	15	30	2	3	50	75									სისხლის სამართლის კერძო ნაწილი
3.25.	კრიმინოლოგია		5	125	15	30	2	3	50	75									სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 1
3.26.	სისხლის სამართლის პრაქტიკული	PCRL 302	5	125	15	30	2	3	50	75									სისხლის საპროცესო სამართალი

	კურსი																		(კერძო ნაწლი)
3.27.	საპროცესო დოკუმენტების შედგენა სისხლის სამართლის პროცესში	DCRP 302	5	125	15	30	2	3	50	75									სისხლის საპროცესო სამართალი (კერძო ნაწლი)
3.28.	საერთაშორისო სისხლის სამართალი		5	125	15	30	2	3	50	75									საერთაშორისო საჯარო სამართალი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 1
3.29.	კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში	SCLW 302	5	125	15	30	2	3	50	75									სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 1
	ჯამი																		

3.37.	ლოგიკა	**LOGI 303**	3	75	15	15	2	3	35	40			X	X	X	X	X	X	**წინაპირობის გარეშე**
3.38.	პოლიტოლოგია	**POLS 303**	3	75	15	15	2	3	35	40			X	X	X	X	X	X	**წინაპირობის გარეშე**
3.39.	საზოგადოებასთა ნ ურთიერთობა	**PR 303**	5	125	15	30	2	3	50	75			X	X	X	X	X	X	**წინაპირობის გარეშე**
3.40.	საქართველოს ისტორია	**HIST 303**	4	100	15	15	2	3	35	65			X	X	X	X	X	X	**წინაპირობის გარეშე**
3.41.	პროექტების მენეჯმენტი	**PMAN 303**	4	100	15	15	2	3	35	65			X	X	X	X	X	X	**წინაპირობის გარეშე**
	ჯამი																		
სულ არჩევითი კომპონენტების ჯამი																			